

საქართველოს კანონი

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აღკვეთა და შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე, რომლებიც არ არის განსაზღვრული „ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ“ 1961 წლის ერთიანი კონვენციითა და „ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1971 წლის კონვენციით.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევაზე;

ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ამ კანონის დანართებით განსაზღვრული ნივთიერება ან მინარევი, რომელსაც მოხმარების შემთხვევაში ადამიანის სხეულში ფსიქოაქტიური ზეგავლენის გამოწვევა შეუძლია;

ბ) ფსიქოაქტიური ზეგავლენა – აღქმის, გუნება-განწყობის, ცნობიერების, შემეცნებისა და ქცევის შეცვლის თანამდევი ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობა;

გ) ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზურად დამზადებული ქიმიური ნაერთი;

დ) მინარევი – ნარევი ან ხსნარი, რომელიც ერთ ან ერთზე მეტ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს;

ე) საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად.

მუხლი 4. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აკრძალვა

1. აკრძალულია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება, საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.



2. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობების განხორციელების მიზნით ნებადართულია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება, საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა.

3. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობების განხორციელების მიზნით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების, საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის ნებართვაზე ვრცელდება ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნებართვებისთვის დადგენილი წესი.

4. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

მუხლი 5. ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე სხვადასხვა ნორმის შესაბამისი გავრცელება

ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე შესაბამისად ვრცელდება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და 32-ე მუხლებისა და V-VI თავების მოქმედება.

მუხლი 6. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია

იქმნება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. ამ სახელმწიფო კომისიის დებულება მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

მუხლი 7. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილებები

1. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია:

- ა) აკვირდება პოტენციური საფრთხის შემცველი სხვადასხვა ქიმიური ნაერთის ბაზარზე მიმოქცევას;
- ბ) ახორციელებს ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკების შეფასებასა და ანალიზს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;
- გ) საქართველოს მთავრობისათვის შეიმუშავებს წინადადებებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ქიმიურ ნაერთთა კლასების ამ კანონის დანართებში შეტანის ინიცირებისთვის;
- დ) აქვეყნებს ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშებს საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებული ვითარების თაობაზე.

2. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ამ კანონის დანართებში შეტანის ინიცირებისთვის, თუ:

- ა) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსახლეობის გარკვეულ წრეებში ზოგიერთი ქიმიური ნაერთის ავად მოხმარება ნარკოტიკული სიმთვრალის გამოსაწვევად ხდებოდა;



ბ) მათი გამოყენებისას, როგორც მეცნიერების, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილება მოწმობს, საფრთხე ექმნება მომხმარებლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ან ასეთი საფრთხის გამორიცხვა შეუძლებელია.

3. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ქიმიურ ნაერთთა კლასების ამ კანონის დანართებში შეტანის ინიცირებისთვის, თუ ცალკეულ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან მიმართებით იმავე ღონისძიების განხორციელება ნაკლებად გამოსადეგია მათი გავრცელების აღსაკვეთად და, შესაბამისად, მომხმარებლის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 8. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ქიმიურ ნაერთთა კლასები

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ქიმიურ ნაერთთა კლასების ამ კანონის დანართებში შეტანას არ ეწინააღმდეგება ამ კლასებში ისეთი ნაერთების არსებობა:

ა) რომლებსაც მოხმარების შემთხვევაში არ შეუძლიათ ფსიქოაქტიური ზეგავლენის გამოწვევა ან უმნიშვნელო ფსიქოაქტიური ზეგავლენის გამოწვევა შეუძლიათ;

ბ) რომლებზედაც, როგორც სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე ან ფარმაცევტულ პროდუქტზე, ვრცელდება შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა და საქართველოს ფინანსთა მინისტრმა 2014 წლის 15 მაისამდე უზრუნველყონ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის შექმნის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ერთობლივი ბრძანების გამოცემა და ამოქმედება.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა უზრუნველყოს იმ ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტით გაცემის სავალდებულობის განსაზღვრა, რომლის შემადგენელი ერთი ან ერთზე მეტი ნივთიერება განეკუთვნება ამ კანონის №2 დანართით განსაზღვრულ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ქიმიურ ნაერთთა კლასს, მაგრამ რომელიც იმავდროულად არ ექვემდებარება რეცეპტით გაცემას.

მუხლი 10. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს 2014 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

16 აპრილი 2014 წ.

N2234-III



ცალკეული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების სია

№	ნივთიერების დასახელება	ქიმიური დასახელება
1	2-დფმპ 2-DPMP	2-diphenylmethylpiperidine
2	ბუტირო-1,4-ლაქტონი Butyro-1,4-lacton	oxolan-2-on
3	გელბისი GELBES	1-(3-chlorophenyl)-4-(3Chloropropyl)piperazine hydrochloride
4	გლაუცინი GLAUCINE	6aS)-1,2,9,10 tetramethoxyaporphine
5	1,4 ბუთანდიოლი 1,4 Butandiol	butan-1,4-diol
6	დესმეთილტრამადოლი Desmethyltramadol	3-[2-[(dimethylamino)methyl]-1-hydroxycyclohexyl]phenol
7	დიმეთოკაინი Dimethocain	[3-(diethylamino)-2,2-dimethylpropyl]4-aminobenzoat
8	ეტაქუალონი ETAQUALONE	3-(2-ethylphenyl)-2-methyl-quanazolin-4-one
9	ნ-დესმეთილსიბუტრამინი N-DESMETHYLSIBUTRAMINE	
10	ფლუორტროპაკოკაინი Fluortropacocain	3-(p-Fluorbenzoyloxy)tropan (pFBT)
11	გერანამინი Geranamin	4-methylhexan-2-amin
12	სალვინორინ ა Salvinorin A	(2S,4aR,6aR,7R,9S,10aS,10bR)-methyl-9-acetoxy-2-(furan-3-yl)-6a,10b-dimethyl-4,10-dioxo-dodecahydro-1H-benzo[f]-isochromen-7-carboxylat
13	კავა KAVA	Piper methysticum
14	კრატომი KRATOM	Mitragynin/7α-Hydroxy-7H-mitragynin/Paynanthein
15	ლსა LSA	(8β)-9,10-didehydro-6-methyl-ergoline-8-carboxamide

16	ოდტ ODT	o-desmethyltramadol
17	სალვია დივინორუმი SALVIA DIVINORUM	
18	პფბტ PFBT	3-pseudotrotyl-4-fluorobenzoate
19	პ-ფლუორამფეტამინი P-FLUORAMPHETAMINE	1-(4-fluorophenyl)propan-2-amine
20	ჰარმინი HARMINE	7-Methoxy 1-methyl-9H-pyrido[3,4-b]indole

დანართი №2

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ქიმიურ ნაერთთა კლასების სია

1. კანაბინომიმეტიკურად მოქმედი ნაერთები

შემდეგი ძირითადი ქიმიური სტრუქტურები:

- ა) (Naphthalin-1-yl)(1H-indol-3-yl)methanon Naphthoyl-Indole-ის ჯგუფიდან;
- ბ) (Naphthalin-1-yl)(1H-indol-3-yl)methan Naphtylmethyl-Indole-ის ჯგუფიდან;
- გ) (Naphthalin-1-yl)(1H-pyrrol-3-yl)methanon Naphthoyl-Pyrrole-ის ჯგუფიდან;
- დ) 1-(Naphthalin-1-ylmethylen)-1H-inden Naphtylmethyl-Indene-ის ჯგუფიდან;
- ე) (Phenyl)(1H-indol-3-yl)methanon Benzoyl-Indole-ის ჯგუფიდან;
- ვ) (2-Phenyl)(1H-indol-3-yl)ethanon Phenacetyl-Indole-ის ჯგუფიდან;
- ზ) 2-(3-hydroxycyclohexyl)phenol Cyclohexyl-Phenole-ის ჯგუფიდან;
- თ) Indolcarbon-2-მჟავა-amide;
- ი) Tetrahydro-6H-benzo[c]chromen-1-ol;
- კ) 1H-indazol-3-yl(naphtalen-1-yl)-methanon;
- ლ) 3-(naphtalen-1-yl-methyl)-1H-indazole;
- მ) 1H-carbazole-3-yl(naphtalen-1-yl)-methanone;
- ნ) 3-(naphtalen-1-yl-methyl)-1H-carbazole;
- ო) 1H-indazol-acetamyde;

აგრეთვე ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც რომელიმე ზემოაღნიშნულ ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს.

2. ფენეთილამინის (Phenethylamin) ნაერთები

ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც ფენეთილამინის (Phenethylamin) ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას ჰეტეროციკლური და პოლიციკლური წრიული სისტემა (ნაფთილის (Naphthyl), ტეტრალინის (Tetralin), ინდოლის (Indol), ინდანის (Indan), მეთილენდიოქსის (Methylenedioxy), ბენზოფურანის (Benzofuran), დიჰიდრო-ბენზოფურანის (Dihydro-Benzofuran) ან თიენილის (Thienyl) წრიული სისტემა) აქვს.

3. ამინო-ფენილ-ეთანონის (Amino-Phenyl-Ethanon) ნაერთები

ამინო-ფენილ-ეთანონი (Amino-Phenyl-Ethanon), აგრეთვე ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც ამ ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას ჰეტეროციკლური და პოლიციკლური წრიული სისტემა (ნაფთილის (Naphthyl), ტეტრალინის (Tetralin), ინდოლის (Indol), ინდანის (Indan), მეთილენდიოქსის (Methylenedioxy), ბენზოფურანის (Benzofuran) ან დიჰიდრო-ბენზოფურანის (Dihydro-Benzofuran) წრიული სისტემა) აქვს.

4. ალფა-კეტო-ბენზილამინის (Alpha-Keto-Benzylamin) ნაერთები

ალფა-კეტო-ბენზილამინი (Alpha-Keto-Benzylamin), აგრეთვე ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც ამ ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს.

5. 2-ამინოინდანის (2-Aminoindan) და 2-ამინოტეტრალინის (2-Aminotetralin) ნაერთები

2,3-Dihydro-1H-Inden-2-Amin ან 2-Aminotetralin, აგრეთვე ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც ამ ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს.

6. ტრიპტამინის (Tryptamin) ნაერთები

ტრიპტამინი (Tryptamin), აგრეთვე ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც ამ ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს.

7. (1-ფენილ (1-Phenyl) და 1-ბენზილ (1-Benzyl)) პიპერაზინის (Piperazin) ნაერთები

1-ფენილპიპერაზინი (1-Phenylpiperazin) ან 1-ბენზილპიპერაზინი (1-Benzylpiperazin), აგრეთვე ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც ამ ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს.

8. არილციკლოჰექსილამინის (Arylcyclohexylamin) ნაერთები

ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც არილციკლოჰექსილამინის (Arylcyclohexylamin), არილციკლოჰექსილ-პიროლიდინის (Arylcyclohexyl-Pyrrolidin) ან

არილციკლოჰექსილ-პიპერიდინის (Arylcyclohexyl-Piperidin) ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს.

9. დიფენილმეთილპიპერიდინის (Diphenylmethylpiperidin) ნაერთები


ყველა ის ნივთიერება ან მინარევი, რომელიც დიფენილმეთილპიპერიდინის (Diphenylmethylpiperidin), ფენილციკლოჰექსილ-მეთილპიროლიდინის (Phenylcyclohexyl-methylpyrrolidin) ან დიფენილმეთილპიროლიდინის (Diphenylmethylpyrrolidin) ძირითად ქიმიურ სტრუქტურას შეიცავს.

დანართი №3

ძირითადი ქიმიური სტრუქტურების ფორმულების მაგალითები №2 დანართისათვის


1. კანაბინომიმეტიკურად მოქმედი ნაერთები

Naphthoyl-Indole:




1H-Indol-3-yl(Naphthalen-1-yl)-Methanon

Naphthylmethyl-Indole:




3-(Naphthalen-1-yl-Methyl)-1H-Indol

Naphthoyl-Pyrrole:



Naphthalen-1-yl(1*H*-Pyrrol-3-yl)-Methanon

Naphthylmethyl-Indene:




1-(1*H*-Inden-3-yl-Methyl)-Naphthalen

Benzoyl-Indole:




1*H*-Indol-3-yl(Phenyl)-Methanon

Phenacetyl-Indole:




1-(1*H*-Indol-3-yl)-2-(Naphthalen-1-yl)-Ethanon

Cyclohexyl-Phenole:




3-(2-Hydroxycyclohexyl)-Phenol

Indolcarbon-2-β-benz-amide:




N-Benzyl-1*H*-Indole-3-Carboxamid

Dibenzopyrane:




9-Methyl-tetrahydro-6*H*-Benzo[*c*]chromen-1-ol

Naphtoyl-indazole:




1H-indazol-3-yl(naphtalen-1-yl)-methanon

Naphtylmethyl-indazole:




3-(naphtalen-1-yl-methyl)-1H-indazole

Naphtoyl-carbazole:




1H-carbazole-3-yl(naphtalen-1-yl)-methanone

Naphtylmethyl-carbazole:




3-(naphthalen-1-yl-methyl)-1H-carbazole

Indazol carboxamide:




1H-indazol-acetamide


2. ფენეთილამინის (Phenethylamin) ნაერთები




2-Phenylethanamin




2-(Naphthalen-2-yl)-Ethanamin



2-(2,5-Dimethoxyphenyl)-Ethanamin




2-(2,3,6,7-tetrahydrofuro[2,3-f][1]Benzofuran-4-yl)-Ethanamin




2-([1,3]Dioxolo[4,5-f][1,3]Benzodioxol-4-yl)-Ethanamin


3. ამინო-ფენილ-ეთანონის (Amino-Phenyl-Ethanon) წარმოება



2-Amino-1-Phenylpropan-1-on




2-Amino-1-(Naphthalen-2-yl)Propan-1-on




1-Phenyl-2-(Pyrrolidin-1-yl)-Propan-1-on

4. ალფა-კეტო-ბენზილამინის (Alpha-Keto-Benzylamin) წარმოება




1-Amino-1-Phenylpropan-2-on

5. 2-ამინოინდანის (2-Aminoindan) და 2-ამინოტეტრალინის (2-Aminotetralin) წარმოება




1,2,3,4-tetrahydronaphthalen-2-Amin




2,3-dihydro-1H-Inden-2-Amin

6. ტრიპტამინის (Tryptamin) წარმოება




2-(1H-Indol-3-yl)-Ethanamin

7. (1-ფენილ (1-Phenyl) და 1-ბენზილ (1-Benzyl)) პიპერაზინის (Piperazin) წარმოება




1-Benzylpiperazin




1-Phenylpiperazin


8. არილციკლოჰექსილამინის (Arylcyclohexylamin) ნაერთები



1-Phenylcyclohexanamin




1-(1-Phenylcyclohexyl)-Piperidin




1-(1-Phenylcyclohexyl)-Pyrrolidin


9. დიფენილმეთილპიპერიდინის (Diphenylmethylpiperidin) ნაერთები



1-(Cyclohexyl(Phenyl)methyl)-Piperidin



2-(Diphenylmethyl)-Piperidin



2-(Diphenylmethyl)Pyrrolidin